იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!



საბჭოეთის ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 2 (186)

იანვარი, 1968 წელი



ზამთარი გაკურიანში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

დამზადებულია საქართველოში

მსოფლიოს 66 ქვეყანაში იგზავნება

სულ უფრო მეტ აღიარებას პოულობს საგარეო ბაზარზე საქონელი მარკით „დამზადებულია საქართველოში“. საექსპორტო მიწოდებებს საქართველო ყოველწლიურად ზრდის.

რესპუბლიკისათვის დამახასიათებელ ისეთ ტრადიციულ საექსპორტო საქონელთან ერთად, როგორიცაა ჩაი, ფეროშენადნობები, „ბორჯომი“, ღვინო, კონიაკი, კონსერვები, უთხრა ჩვენს კორესპონდენტს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში ო. ელიგულაშვილმა, ამჟამად ექსპორტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლითონსაჭრელ და სახეხ ჩარხებს, მაღაროს ელმავლებს, ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოებს, მიწისსაწოვ მანქანებს, ფოლადის მილებს, წყალქვეშაფრთიან კატარღებს, სხვადასხვა ხელსაწყოსა და ელექტროტექნიკურ მანქანას.

საქართველოს საწარმოები ახლა მსოფლიოს 66 ქვეყანაში გზავნიან 300-ზე მეტი დასახელების პროდუქციას. საექსპორტო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი იგზავნება სოციალისტურ ქვეყნებში. მაგალითად, ფოლადის მილებისა და ფეროშენადნობთა მყიდველები არიან ბულგარეთი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, კუბა, მონღოლეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, მანგანუმის მადანი და ნავთობპროდუქტები იგზავნება იუგოსლავიაში, პოლონეთში, უნგრეთში, სახარატო, სახეხი ჩარხები, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები, კატარღები „ვოლგა“ იგზავნება სოციალიზმის ყველა ქვეყანაში.

უცხოელი შემკვეთებისათვის პროდუქციას ამზადებს რესპუბლიკის 125 საწარმო. საქართველოს მიერ მიწოდებული საექსპორტო საქონლის მოცულობა ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, მანქანათმშენებელმა მრეწველობამ 1967 წელს 40 პროცენტით გაზარდა მიწოდება 1957 წელთან შედარებით, სამთამადნო მრეწველობამ — 6,5-ჯერ, მსუბუქმა მრეწველობამ — 18-ჯერ.

უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა დიდ შეკვეთებს ასრულებს ახალგაზრდა განვითარებადი ქვეყნებისათვის. მაგალითად, გვინეაში, იემენში, კამბოჯაში, ნეპალში, კენიასა და სიერა-ლეონეში ახლა იგზავნება ნავთობპროდუქტები, ლითონსაჭრელი და სახეხი ჩარხები და სხვ.

ბევრ პროდუქციას გზავნიან საქართველოს საწარმოები აგრეთვე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში — ინგლისში, ავსტრიაში, ჰოლანდიაში, კანადაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, შვეიცარიაში, იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საქართველოს ექსპორტში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია მანგანუმის მადანს. საგარეო ბაზრის დიდი მოთხოვნა ამ მეტალურგიულ ნედლეულზე განპირობებულია მისი საუკეთესო ხარისხით. ასეთივე დიდი მოთხოვნით სარგებლობს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქცია. საზღვარგარეთის ფირმები დიდი ხალისით ყიდულობენ თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ქარხნის მაღალხარისხოვან და ზუსტ ხელსაწყოებს. ამ ხაწარმოს პროდუქციას, როგორც წესი, უჩვენებენ ყველა საერთაშორისო გამოფენასა და ბაზრობაზე, რომლებშიც საბჭოთა კავშირი მონაწილეობს.

25-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნება ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პროდუქცია. სწრაფად იზრდება შეკვეთების რიცხვი საქართველოს ჩარხსაშენებელი, მანქანათსაშენებელი და ელექტროტექნიკური საწარმოების პროდუქციაზე.

ჩვენი კოლექტივი საექსპორტო მიწოდებისათვის მუშაობასთან ერთად კონტროლს უწევს საიმპორტო მოწყობილობის დროზე გამართვასა და საექსპლოატაციოდ გადაცემას. დიდი ყურადღება ექცევა საერთაშორისო ბაზრობებსა და გამოფენებზე საქართველოს სსრ მონაწილეობისათვის მზადებას. ახალი წლის პირველი დღეებიდანვე დაიწყო მზადება იზმირის საერთაშორისო ბაზრობისათვის, რომელიც მიმდინარე წლის აგვისტოში გაიხსნება. საქართველო ბაზრობაზე გამოვა დამოუკიდებელი განყოფილებით, პავილიონის გაფორმება დაეკისრა საქართველოს სავაჭრო პალატას.



სურათზე: თბილისი, საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ახალი შენობა.

ქართველ მეცნიერს მადლობას უთვლის ამერიკელი კოლეგა

ჩვენი რესპუბლიკა წინ უსწრებს...

საირიგაციო და ენერგეტიკული მშენებლობის აღმავლობა ისეთ მთაგორიან ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მდგრადობასა და მაღალხარისხიანობას მოითხოვს. ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მელიორაციისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა კონსტანტინე არსენიშვილმა ჯერ კიდევ 30-იან წლებში გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ძლიერ დახრილ არხებში აღძრული ზემძაფრი დინების პრობლემას მიუძღვნა. მანამდე ჩვენში ამ საკითხს მხოლოდ თეორიულად სწავლობდნენ, პრაქტიკული კვლევა კი არ ხდებოდა. ამ მხრივ კ. არსენიშვილი გვევლინება, როგორც ნოვატორი საინტერესო და ფრიად სასარგებლო პრობლემის გარკვევაში. 30 წლის ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა შუქი მოჰფინა ტალღურ ნაკადთა პრობლემის მრავალ საკითხს.

1963 წელს თბილისში ჩამოსული ამერიკელ მეცნიერთა დელეგაცია, რომელიც 11 ირიგატორისა და ენერგეტიკოსისაგან შედგებოდა, გაეცნო პროფესორ კ. არსენიშვილის კვლევის მასალებს და განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ლაბორატორიული ექსპერიმენტების მიმართ.

ამ ცოტა ხნის წინათ კ. არსენიშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების მელიორაციის სამმართველოდან მიიღო ამანათი, რომელშიც აღმოჩნდა ქართველი მეცნიერის წიგნი: „მგორავი ტალღების მოქმედება ჰიდროტექნიკურ ნაგებობაზე“ გამოცემული ამერიკის შეერთებულ შტატებში ინგლისურ ენაზე. მასვე ახლდა დოქტორ ჰეგმენის წერილი, რომელიც აღფრთოვანებული იყო საბჭოთა მეცნიერის ნაშრომით და დიდ მადლობას უხდიდა ქართველ კოლეგას იმ დახმარებისათვის, რომელიც გაუწია მისმა წიგნმა კვლევით სამუშაოებში. პროფესორ კ. არსენიშვილის გამოკვლევები, რომელიც მთლიანად დაემთხვა ამერიკაში გაწეული კვლევის შედეგებს, შეიტანეს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა პროექტირებისა და მშენებლობის სავალდებულო სტანდარტებში.

ამ ბოლო დროს სხვადასხვა ქვეყანაში გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს ზემძაფრი ტალღური დინების შესწავლა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს უმთავრესად თეორიული გზით ხდება. აშშ-ში ნიუ-იორკის მათემატიკისა და მექანიკის ინსტიტუტის პროფესორმა დრესლერმა 1949 წელს ამ პრობლემას მიუძღვნა 40-გვერდიანი ნაშრომი: „ღია არხებში მგორავი ტალღების წარმოშობის მათემატიკური გადაწყვეტა“. ეს არის ფრიად სერიოზული ნაშრომი. სამწუხაროდ, მიღებულმა შედეგებმა საინჟინრო პრაქტიკაში ვერ პოვა გამოყენება, საქმე ის არის, რომ იგი შეიცავს ისეთ უგანზომილებო სიდიდეებს, რომელთა განსაზღვრა ძალზე ძნელია. ამის გამო, ქართველი მეცნიერის მიერ არჩეული ამ პრობლემის ექსპერიმენტულად შესწავლის გზა პრაქტიკისათვის უფრო ხელმისაწვდომი აღმოჩნდა. ამით აიხსნება სწორედ ის ფაქტი, რომ მისი კვლევის შედეგები სწრაფად აღიარეს არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ამ პრობლემას დიდი მნიშვნელობა აქვს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობისათვის, აგრეთვე მთაგორიან რაიონებში გაშენებულ სარწყავი სისტემებისათვის და ჰიდროსადგურების კვანძებში. როდესაც სარწყავ ან ჰიდროსადგურის ზედმეტი წყლის გადამგდებ არხს დიდი დაქანება აქვს. მოტანილი ქვა და ღორღი, რომელიც შეიძლება მოძრაობდეს წყლის ნაკადთან ერთად, მალე ხეხავს არხის ბეტონით მოპირკეთებულ ზედაპირს, ზხარავს და გლეჯს მას. ამიტომ ის ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რომელზეც მოქმედებს ზემძაფრი, დიდი სიჩქარით მოძრავი ტალღური ნაკადი, გათვლილი უნდა იქნეს ისე, რომ მოქმედმა ნაკადმა ვერ გამოიწვიოს მისი დეფორმაცია და დანგრევა. ცხადია, ამ საკითხს, თეორიული მნიშვნელობის გარდა, დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს სახალხო მეურნეობისათვის. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საქართველოს სსრ საგრძნობლად უსწრებს წინ მთელ რიგ ქვეყნებს ზემძლავრი დინების შესწავლაში.

სალვატორე ნიშნავს განმათავისუფლებელს

სახალხო გვიჭოჯის ქალიშვილი

ოცი დამთავრდა. საზეიმო აკორდი შემოჰკრეს რავასკლეტოს ეკლესიის ზარებმაც. ხალხი ქუჩაში გამოვიდა. იცინის, მხიარულობს. გამარჯვების მეჭლისია. მაისის ნათელ დღეს სოფელ რიგოლიატოსაკენ მივაბიჯებთ. ვგრძნობთ ალპური მიდამოს სინაზეს და ყურში გვწვდება ბროლის წყაროს რაკრაკი. თითქოს ფრინველნიც გახარებულანო, ჯუზეპე ვერდის მელოდიას მოგვაგონებს ფრთოსანთა იდილიური გალობა. გზაზე შუახნის ჩასკვნილი კაცი შემოგვიერთდა.

— იტალო დანელუტი მოგესალმებათ, სინიორებო! — ღიმილით მოგვმართა და ძმურად ჩამოგვართა ხელი. შინ წაგვიყვანა. განჯინიდან გადმოიღო ერთადერთი ბოთლი პიემონტური ღვინო, რომელსაც წლობით ინახავდა და დათქმული ჰქონდა, რომ მხოლოდ საბჭოთა თანამესუფრეებთან გახსნიდა. წადილი აისრულა. გამარჯვების სადღეგრძელო დალია და ჩვენც შეგვასვა. აღდეგრძელა საქართველოს და იტალიის მთებში ნაომარი ქართველი პარტიზანები. დანელუტის ბაგეთაგან მოვისმინე პირველად იტალიური სიტყვა — სალვატორე!

ეს ეპიზოდი გამახსენდა, როცა ქალაქ ახალ ვენაში შევხვდი მაღალ, გამხდარ, წითური სახის შალვა მუნჯიშვილს. ომის წლებში ტყვეობაგამოვლილნი, ბუნებრივია, ერთმანეთს ჰკოცნიდნენ, გამოჰკითხავდნენ ვინაობა-სადაურობას და უზიარებდნენ განცდილი ტანჯვის საშინელებას. შალვამ დაწვრილებით მომითხრო ჰიტლერულ ჯურღმულებში გატარებული მძიმე დღეების შესახებ. ომის დაწყებიდანვე შემართებით იბრძოდა. შავი ზღვის პირას მომხვდურ მტერს ანადგურებდა. ბედმა უმუხთლა და ტყვეობაში აღმოჩნდა. ჰიტლერელები ცდილობდნენ გაეტეხათ მისი ნებისყოფა. ეს ვერ მოახერხეს კრიმსკაიას, უიტომირის, ხოლმსკისა და სედლიცის ბანაკებში. ყველგან გაქცევაზე ოცნებობდა. მისი გეგმა შალვამ, ნიკო სამადაშვილმა, ივანე ზადუკიშვილმა, მიხეილ ბერიკაშვილმა ჯერ კიდევ პირველ არალეგალურ კრებაზე შეადგინეს. გაქცევის რამდენიმე ცდა ჩაეშალათ. ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევა მხოლოდ კიანიკოში მოხერხდა.

— მერე? მერე? — ინტერესით ვეკითხები მომყოლს.

— შემდეგ პარტიზანულ რაზმში ვიბრძოლე, — დასძინა შალვა მუნჯიშვილმა და ჯიბიდან ამოღებული დოკუმენტი გამომიწოდა. ცარცის ქაღალდზეა დაბეჭდილი და გარიბალდელთა დივიზიის ბეჭდით ადასტურებდნენ მის საბრძოლო შემართებას, რომელიც დოკუმენტის სახით ასე გამოიყურება: „მოწმობა,

ვადასტურებთ, რომ მოხალისე სალვატორე მუნჯიშვილმა, ვაჟმა სანდროსი, 1920 წელს გურჯაანის რაიონში (საქართველო) დაბადებულმა, მთებს ვიაშურა და სხვებთან ერთად თავი გამოიჩინა როგორც ერთ-ერთმა საუკეთესო პარტიზანმა. შესანიშნავმა კომისარმა შეძლო წესრიგისა და დისციპლინის დამყარება. მონაწილეობა მიიღო ზონაში გატარებულ ყველა ოპერაციაში. განსაკუთრებით გამოირჩია 1944 წლის 26 ივნისს ბუსოლენოზე თავდასხმისას, 9 ივლისს ბალმაფოლის ძლევამოსილი ბრძოლისას, როცა მტერს წაართვეს 6 ტყვიამფრქვევი და სხვა ავტომატური იარაღი. წვლილი შეიტანა სანტანტონიოს ხიდის მცველთა განადგურებაში, რომლის დროს ტყვედ წამოიყვანეს 16 კაცი. იგი იყო კომისარი სივინას შესანიშნავი ოპერაციისა, რომლის დროსაც 45-მა პარტიზანმა შეიპყრო 168 ნაცისტი და იტალიელი ფაშისტი ჭარისკაცი, მოიპოვა მნიშვნელოვანი ნადავლი. იგი მონაწილეობდა სადგურ ბრუძელეზე თავდასხმაში, რომლის დროს მტერმა დაკარგა 20 კაცი მოკლულის სახით და ხელთ იგდო მრავალი იარაღი, შემდეგ ფორესტეში (ბუსოლენო) იერიში მიიტანა ფაშისტებზე და აიძულა გაქცეულიყვნენ. ამ ბრძოლაში მოკლეს და დაჭრეს მოწინააღმდეგის 5 ჯარისკაცი. 1944 წლის 25 აგვისტოს სადგურ ბრუძელეზე თავდასხმისას დაატყვევა გერმანელი მეომარი. 1944 წლის სექტემბერში ჰიტლერელთა პატრულზე თავდასხმის დროს მტერს შემდეგი ზარალი მიაყენა: ერთი მოკლა, ორი დაჭრა.

გარდა ამისა, მან მონაწილეობა მიიღო ნაცისტ-ფაშისტი ჯაშუშების შეპყრობაში, მაგისტრალებზე, ხიდებსა და რკინიგზაზე, სადგურებსა და სამრეწველო საწარმოებში მოწყობილ საბოტაჟებში... ქვეგანაყოფი, რომლის მეთაურიც ის იყო, განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩა. იგი იყო მეტად პატიოსანი და არასოდეს თავისთვის არ ტოვებდა ნადავლს, რომელსაც მთლიანად სარდლობას გადასცემდა და ამით თავის შეგნებულობას ავლენდა“.

შეიძლება ითქვას, ამ დოკუმენტში, როგორც სარკეში, მკაფიოდ მოჩანს ყოფილი პარტიზანის შ. მუნჯიშვილის სახე. მკითხველის ყურადღებას დამატებით მხოლოდ ორიოდე საგულისხმო ეპიზოდზე შევაჩერებთ. ტყვეთა ბანაკიდან გაქცევეს შემდეგ შალვას ველარ იცნობდით. ღონე შეემატა, გამხიარულდა. ნაცრემლი თვალებიდან ნაპერწკლები სცვივოდა და თითქოს ამითაც ვნებას აყენებდა მტერს. ასეთს შეხვდა პირველად შალვას 19 წლის კომისარი ვალტერ ფონტანი. უდაბნოში უწყალობით ნაწამები მგზავრივით სწყუროდა მტერთან შებმა. საბრძოლო ნათლობა ანდრეო კოლეტოს რაზმში მიიღო. ახალბედა ქართველი პარტიზანი და პატარა იტალიელი მეომარი ჯორჯეტო ბუსოლენოში გაგზავნეს.

— ახლა ყველას დაანახვებს მუნჯიშვილი, — გაეხუმრა შალვა თავის თანამებრძოლს, — თუ რის გაკეთება შეუძლია გარიბალდელად გადაქცეულ ვეფხისტყაოსანს და ჩასასაფრებელი ადგილი მიუჩინეს. მაგრამ ეს მარტო ხუმრობა როდი იყო. ორსართულიან სახლში შევიდა და მსტოვრის ბანას მიაკითხა. მასპინძელი ტახტზე წამოწოლილიყო და გაზეთებს კითხულობდა.

— პოლიციის უფროსი, — მიმართა დაუპატიჟებელმა სტუმარმა, — თქვენი ფრიად მადლიერია და ამჯერადაც ინება საჩუქარი გიბოძოთ. გთხოვთ წამობრძანდეთ მასთან გამოსაცხადებლად.

ჯაშუში წამოდგა და გაჰყვა. როცა მათ ჯორჯეტო შეუერთდა და ტყისაკენ გაემართნენ, მსტოვარი მიხვდა, რომ პარტიზანებმა მოხერხებულად დაუგეს მახე, მაგრამ გვიან იყო. ბადრაგს თავი ველარ დააღწია და პარტიზანულმა სასამართლომ ღირსეული სასჯელი მიუზღა. რაზმი ხაზზე მოაწყეს და ოპერაციის შედეგს ანალიზი გაუკეთეს.

— ხედავთ, — მიმართა მწყობრს ბრიგადის მეთაურმა ალექსანდრო ჩამეიმ, — როგორ ვაჟკაცურად მოიქცა ჩვენი საბჭოთა მოძმე. დაიხსომეთ — ერთმა ქართველმა ასი იტალიელის სამძე გააკეთა!

შალვა თავჩაღუნული იდგა და ისმენდა ჩემეის შეძახილს: დიდება სალვატორეს!

დიდება სალვატორეს! — დაიჭუხა მწყობრმაც და კლდოვანი მიდამოს ექომ ომახიანად გაიმეორა იგი. ეს განმეორებაც ერთგვარად სიმბოლური გახლდათ, რადგან ამიერიდან სალვატორეს სახელი იტალიას მოეფინა და იგი მტერთან გამარჯვების, მოუხელთებლობისა და ვაჟკაცობის სინონიმად გადაიქცა. ყოფილი კახელი კოლმეურნე ბრძოლის ქარცეცხლში შექმნილი ლეგენდების გმირი გახდა. გარეგნობით იტალიელ გლეხს ჰგავს და სახედარზე ამხედრებული უფრო მოხერხებულად ასალმებს წუთისოფელს გერმანელ პატრულს. მარტოდმარტო თავჩაღუნული ზის გზისპირა მერხზე და მხოლოდ მაშინ შემოტრიალდება, როცა ჰიტლერელთა მწყობრი ჩაუვლის. წამიც, და ავტომატი დაცხრილავს მწყობრს. ამასაც არ სჯერდება. მეტი სიმედოვნისათვის დაჭრილებს ხელუმძარებით უმასპინძლდება. ბრუძელეს რესტორანში გასაჩხრეკად შევიდა სამი ჰიტლერელი. შალვა მყისვე ლუდის დამხობილ ცარიელ კასრქვეშ გაუჩინარდა. მან იცოდა, ჯოჯოხეთს ლირას

(დასასრული მე-5 გვ.).

საქართველოს ქალაქები



სურათზე: ქუთაისი, გორის ქუჩა.

შენდება ახალი ქარხანა

რუსთავი. რკინიგზის ხაზი ორ ნაწილად ყოფს რუსთავს. რუსთავის სადგურის წინ, მოპირდაპირე მხარეზე ამ ხუთიოდე წლის წინათ უკაცრიელი ადგილი იყო. იგი იწყებოდა გაჯის კარიერიდან და რამდენიმე კილომეტრზე გრძელდებოდა ქიმიური ბოჭკოს ქარხანამდე...

ასე იყო. ახლა კი ამ ადგილზე სულ სხვა სურათს ნახავთ: ცაში აღმართულა ამწეთა ისრები, გადაჭიმულა სამრეწველო საამქროები, გადაშლილა ფოლადის კონსტრუქციები. უდაბნოს კვალიც აღარ დარჩა. მშენებელთა ქალაქი — ასე უწოდებენ ახლა რუსთავის ამ რაიონს. აქ, მრავალსართულიან სახლებში, მუშათა საერთო საცხოვრებლებში, ძირითადად, ცხოვრობენ მშენებლები და მემონტაჟეები. მათ გააშენეს ბაღები, ააგეს კლუბი, ბიბლიოთეკა, საცურაო აუზი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო დაწესებულებანი.

მშენებელთა ქალაქში გამოჩნდა ახალი საწარმოებიც. ეს არის ფოლადის კონსტრუქციათა, სამშენებელი და საგზაო მანქანების შემკეთებელი ქარხნების კორპუსები, რომელთა ცალკეული საამქროები სრული სიმძლავრით მუშაობენ. ამავე დროს მეზობლად გრძელდება ახალი ობიექტების მშენებლობა.

ახლა აქ აშენებენ რუსთავის ალაოს ქარხანას, რომელიც პირველია ჩვენს რესპუბლიკაში და ერთ-ერთი უდიდესი ჩვენს ქვეყანაში. მისი საპროექტო სიმძლავრეა 10 ათასი ტონა ნედლეული წელიწადში. ქარხნის ამუშავება განზრახულია 1959 წლისათვის.

სამშენებლო მოედანზე ბევრი რამ გაკეთდა: დამთავრდა ალაოს განყოფილების დამონტაჟება, სილოსის კორპუსის ქვეშ ჩადეს 3-დან 6 მეტრამდე სისქის ბალასტური „ბალიში“. ამ „ბალიშს“ 14 ათასი კუბური მეტრი ბეტონი მოასხმარეს. ახლა იგი დახურეს მრავალტონიანი რკინაბეტონის მონოლითური ფილებით. მიმდინარეობს მონტაჟი, ელექტროტექნიკური და სხვა სამუშაოები.

გავა დრო და ამიერკავკასიის კვების მრეწველობა მიიღებს რუსთავის ალაოს.

პოეტის საიუბილეოდ



„...და როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთროში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შესაძლებლობა და ხმა ერჩია შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით! ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელი მდგომარეობისათვის დაბადებულიო!“ — სწერდა ნიკოლოზ ბარათაშვილი ზაქარია ორბელიანს 1834 წელს.

დიდი ხანია აღსრულდა პოეტის ეს ალალი გულისთქმა. მისი ჭეშმარიტი პოეზია ცარიზმის დამყაებული ყოფისთვის არ იყო გამიზნული. იგი მისი სათაყვანებელი ქართველი ერისთვის იყო განკუთვნილი, ქართველი ხალხის პირმშო იყო.

„...კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილას. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზს!“

დღეს ყოველი ქართველის გულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ასპარეზი. ძნელია მოინახოს საქართველოში კაცი, რომელიც არ განმარტოებულიყოს მასთან, არ გაეღრმავებინოს მისი უკვდავი სტრიქონები.

ქართველმა ხალხმა ნიკოლოზ ბარათაშვილს უპირველესი ადგილი მიანიჭა დიდი შოთას გვერდით. მისი უბადლო პოეტური ქმნილება, ქართველი ხალხის სულის, ზნეობრივი იდეალების, მისწრაფებების შესანიშნავი გამოხატულებაა. ამიტომ არის ნ. ბარათაშვილი ასე სათუთად შემონახული ხალხის გულში, და მას ვერც ვერაფერს დააკლებს უამთა სვლა.

დიდია ნ. ბარათაშვილის ღვაწლი მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში. მან ერთ-ერთმა პირველმა გაათავისუფლა ქართული ლექსი აღმოსავლური პოეზიის მოძველებულ ტრადიციებისაგან. იგია ქართული პოეტური აზრის განმაახლებელი. ამიტომ არის, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი სამართლიანად ითვლება ახალი ქართული პოეზიის ფუძემდებლად, მომდევნო თაობათა მასწავლებლად და გზის მაჩვენებლად.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში თანამედროვე ადამიანს ხიბლავს დიდი ჰუმანიზმი, შეუპოვრობა, მხურვალე პატრიოტიზმი. ზოგადკაცობრიული იდეების მაღალ პოეტურ სახეებში გამოხატვამ, მისი პოეზიის ფილოსოფიურმა სიღრმემ, მორალურმა სისპეტაკემ და სიძლიერემ ნ. ბარათაშვილი პროგრესული რომანტიზმის მსოფლიო კლასიკოსების გვერდით დააყენა.

მისი უკვდავი ლექსები და პოემა „ბედი ქართლისა“ ახალ ეტაპს იწყებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. პოეზიის შედევრი — „მერანი“ მოწინავე კაცობრიობის კეთილშობილურ მისწრაფებათა შესანიშნავი გამოვლენაა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ძლიერი პოეტური ხმით უმღერდა ბედნიერ მომავალს, განთიადს, სინათლესა და სიხარულს, ბინდის გაჭრობასა და ბნელ ძალებზე გამარჯვებას. მიუხედავად ცხოვრების მძიმე პირობებისა, უკუღმართი ხვედრისა და მის შემოქმედებაში აქა-იქ გაჟონილი პესიმისტური ელფერისა, იგი მთელი ხმით მოუწოდებდა ყველა ადამიანს:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან
შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეგაც მივსდიოთ მას,
გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი
მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და
სოფლისთვის
არა იზრუნოს!“

ნ. ბარათაშვილი მღელვარედ განიცდიდა საქართველოს ბედს, იმედის თვალით შესცქეროდა თავისი ქვეყნის მომავალს. თავისი ხალხის აყვავებას, წინსვლას ქადაგებდა. სამშობლო, უპირველეს ყოვლისა — ლეიტმოტივად გასდევს ბარათაშვილის მთელ ცხოვრებას, პირადულსა თუ საზოგადოებრივს.

„ათასი რომ ვიჩანჩალოთ, ისევ საქართველოში უნდა დავბოლოოთ ჩვენი ცხოვრება, და ამისთვის ჩემი აზრი ეს არის, რომ, რაც უნდა ვიფრანცუცოთ, მაინც ძველი ოჯახი და კარგი დამოკიდებულება რაც უნდა წაგვხდეს, ახალთან კიდევ მოვა!“ — წერდა პოეტი.

და მთაწმინდამ სათუთად მიიბარა სამარადისო შესანახავად ქართველი ერის საამაყო შვილი.

150 წელი გავიდა პოეტის დაბადებიდან. დღეს მადლიერი ქართველი ხალხი უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით ემზადება ამ სასახელო იუბილეს ჩასატარებლად. გამოყოფილია იუბილეს მომწყობი სახელმწიფო კომისია, რომელსაც ფართო ღონისძიებები აქვს დასახული ამ თარიღთან დაკავშირებით.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება ღირსეულად ეგებება ნ. ბარათაშვილის იუბილეს. მიმდინარე წელს ჩატარდა საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ — არჩილ გიგოშვილი (პრეზიდიუმის თავმჯდომარე), დოქტორი ნინო ჯავახიშვილი, აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ლადო გუდიაშვილი, აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე, აკადემიკოსი რაფიელ დვალი, ალექსანდრე ჟღენტი (თავმჯდომარის მოადგილე) და სხვები.

პრეზიდიუმმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი იუბილეს ღირსეულად შესახვედრად. ნ. ბარათაშვილის თხზულებები მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზეა თარგმნილი. ამ იუბილესათვის განზრახულია გამოიცეს თარგმანები ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე, რათა ქართველი ხალხის პოეტური კულტურა უფრო ახლობელი გახდეს მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებისათვის.

საქართველო ღირსეულად გადაუხდის იუბილეს თავის სასიქადულო შვილს — ტატო ბარათაშვილს.

ზ. გემაზაშვილი,
საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის მდივანი.

მოწვეულია ბაკურიანში

ტრადიციული კოლოკვიუმის წინ

საფრანგეთი-საბჭოთა კავშირის კოლოკვიუმი დაბალი ტემპერატურების ფიზიკის საკითხებზე გაიმართება ბაკურიანში წელს, თებერვალში. მიღწეულია ავრეთვე წინასწარი შეთანხმება, რომ საფრანგეთში 1968 წლის დეკემბერში მოეწყოს რეალური კრისტალის ფიზიკისადმი მიძღვნილი კოლოკვიუმი.

ეს აცნობა ჩვენს კორესპონდენტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა ე. ანდრონიკაშვილმა, რომელიც თბილისში დაბრუნდა საფრანგეთიდან.

— ბაკურიანის ტრადიციული კოლოკვიუმი, რომლის 30 წლისთავი სრულდება მომავალ წელს, — თქვა მეცნიერმა, — განიხილავს ლითონების, ზეგამტარობისა და ზედენადობის პრობლემებს. ამ ორ პრობლემას იმდენად ბევრი რამ აქვს საერთო, რომ სემინარის ცალკეული სხდომები მიეძღვნება ზეგამტარებისა და თხევადი ჰელიუმის ზედენადობის თვისებათა პარალელურ განხილვას.

საზღვარგარეთ შემთხვევით როდი უწოდებენ ხუმრობით სიმოკლისათვის ფუძემდებელ ნაშრომებს შენდნობათა ზეგამტარობის თეორიაში გლაგ-ს (აკადემიკოსების განცბურგის, ლანდაუს და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების აბრიკოსოვის, გორკოვის გვარების პირველი ასოები). საბჭოთა მეცნიერების პრინციპები საფუძვლად დაედო მრავალ ექსპერიმენტულ გამოკვლევას, რომლებიც განხორციელდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საფრანგეთში. ყველაზე ლამაზი ექსპერიმენტები, რომლებიც შესრულდა ფრანგულ რეაქტორზე ნეიტრონების განფანტვისა და ატომური მაგნიტური რეზონანსის მეთოდით, წარმოადგენენ პრობლემის უზუსტესი გადაჭრის ნიმუშებს.

საბჭოთა მეცნიერებისათვის განსაკუთრებული ინტერესი აქვს ფრანგი კოლეგების გამოკვლევებს მყარი სხეულების კვანტური თეორიის ახალ განშტოებებში, რომლებსაც ეწოდა კვანტური სიახლოვის მოვლენები. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ვახსენოთ პროფესორები ფრიდელი, დეჟენი და ნოზიერი, რომელთა ხელმძღვანელობით ასე მოხერხებულად შეხამებულია ზეგამტარობასთან დაკავშირებულ სარკვლესო ამოცანათა ექსპერიმენტული და თეორიული გადაწყვეტილებანი.

მეორე პრობლემა, რომელსაც ბაკურიანში განვიხილავთ, ზედენადობაა. საბჭოთა და, კერძოდ, ქართველ ფიზიკოსთა მიღწევები ზედენადობის — თხევადი ჰელიუმის საოცარი გამოცანის —შესწავლაში საყოველთაოდ აღიარებულია. გამოკვლევები ამ დარგში ახლა დაჩქარებულად ვითარდება ჩვენი ქვეყნის რამდენიმე სამეცნიერო ცენტრში — მოსკოვის ფიზიკური პრობლემების ინსტიტუტში, თბილისის ფიზიკის ინსტიტუტში, უკრაინის დაბალი ტემპერატურების ფიზიკურ-ტექნიკურ ინსტიტუტში, დუბნის ბირთვული კვლევის გაერთიანებულ ინსტიტუტში. ძალიან საინტერესო და შინაარსიანი მუშაობა შესრულდა ამ ბოლო დროს საფრანგეთშიც.

ამ ბოლო დროს საფრანგეთში ხორციელდება ბევრი საინტერესო გამოკვლევა მყარი სხეულის ფიზიკის სხვა ასპექტებითაც, მაგალითად, ტუტე-გალოიდურ ფისტალებზე რადიაციული ზემოქმედების პრობლემებზე. როცა გავეცანი კონცეფციას, რომელიც საფუძვლად უდევს ფრანგ მეცნიერთა ნაშრომებს ამ დარგში, დავრწმუნდი, რომ იგი სავსებით იდენტურია ჩვენი ნაშრომებისა. პროფესორ გინიეს, ჟაკლბატონ ლამბერისა და მათ მოწაფეების გამოკვლევები ეხმაურება საბჭოთა სპეციალისტების და, კერძოდ, თბილისელი ფიზიკოსების ნაშრომებს კრისტალების რადიაციული დეფექტების შესწავლის დარგში.

რეალური კრისტალის ფიზიკასთან დაკავშირებული პრობლემების შემოქმედებითი განხილვა იქნება შინაარსი ფრანგი და ქართველი მეცნიერების მორე შეხვედრისა,. რომელიც განზრახულია 1968 წლის დამლევს.

საბჭოთა ხელოვნება
№ 2, იანვარი, 1968 წ.

სალვატორე ნიშნავს განმათავისუფლებელს

(დასასრული).

ჰპირდებოდნენ მის შემპყრობს, შალვამ კი კასრში შედგინა პატრუსის მოსპობის გეგმა. რესტორანში გერმანელები ვერავის წაწუწდნენ, უკან გამობრუნებულებს კი უხმაუროდ გაჰყვა კვალზე. ფრთხილად წამოეწია და მოულოდნელად ავტომატის ჯერი მიახალა. ორი მოცელა, მესამე ტყეში გაიძღოლა.

თვალსაჩინო იყო სალვატორეს მაგალითის ძალა. ერთ-ერთი ოპერაციის შემდეგ თანამებრძოლმა ედიკომ წლობით უნახავ დედასთან მიიყვანა. მშობელმა სცადა შინ დაეტოვებინა პირმშო. ედიკომ თითი მუნჯიშვილისაკენ გაიშვირა და დედა დააშოშმინა: „აი, ხედავ, სალვატორე ჭართველია და ჩვენი გულისათვის ომობს“.

დიახ, მან პიემონტის მთებშიც ასახელა თავისი პატარა რესპუბლიკა. ეს აზრი გამოსჭვივოდა გაზეთ „თბილისში“ დასტამბულ ჩვენს ნარკვევში „სალვატორე“, რომელიც 1965 წლის 26 იანვარს გამოქვეყნდა. მისი რუსული თარგმანი დაიბეჭდა მურმანსკის მრავალტირაჟიან გაზეთში „ნა სტროიკე“. მას შემდეგ სალვატორეს შემართების ამბავმა იმიერპოლარეთის გაზეთები მოიარა, ხოლო შ. მუნჯიშვილი დიდი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი გახდა.

ღირსშესანიშნავ მხარედ მიგვაჩნია: დედა-შვილობა შეჰფიცეს ერთმანეთს ოლია და შალვა მუნჯიშვილებმა. ამავე დროს განახლდა და აღსდგა ქართლელ და კახელ მუნჯიშვილებს შორის ასწლობით შეწყვეტილი ნათესაობა!

კოლაგელი მუნჯიშვილი მურმანსკში ჩინებულად ცხოვრობდა. ჰქონდა კარგი ბინა, მაღალი ხელფასი, სარგებლობდა იმიერპოლარეთში მომუშავეთათვის დაწესებული შეღავათებით. მართალია, ცივ მხარეში ბინადრობდა, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა იმ ხალხის სითბოსა და პატივისცემას, რომლის სახელი მანაც განადიდა იტალიის მთებში.

ახლახანს კი დედობილმა მოუხმო დედა-სამშობლოში. ოლია მუნჯიშვილის სურვილმა — ახლოს ჰყოლოდა შალვა, ხშირად ეცქირა მისთვის — იმოქმედა ბალმფოლის გმირზე. კვლავ საქართველოში დაბრუნდა. ამ დღეებში იგი თბილისში, ოქტომბრის ჭუჩაზე ვნახე. სამი ოთახი დამშვენებული აქვს ახალი ავეჯით. მისი გოგონა გალინა და ვაჟუშვილი ალექსანდრე ცისფერ ეკრანზე უცქეროდნენ ქართულ ტელეგადაცემას. კარადა სავსეა ქართული, რუსული და იტალიური წიგნებით. გრამფირფიტებს შორის 6 იტალიურია. მომასმენინა და თვითონაც მოისმინა პიემონტის მთებში ნაუღერი პარტიზანული სიმღერები. ერთი ფირფიტის კონვერტს ამშვენებს გარიბალდელთა 114-ე ბრიგადის ყოფილი მეთაურის ჯუზეპე კუნიოს (პინო) წარწერა: „ძვირფას სალვატორეს. იტალიაში მოგზაურობის გასახსენებლად“.

დიდი ხანია მაწვალებდა აზრი გამეგო, თუ რატომ უწოდებდნენ იტალიელები შალვას მეტსახელად სალვატორეს. საიდუმლოების ფარდა ახადა რუსულ-იტალიურმა ლექსიკონმა. თურმე სალვატორე განმათავისუფლებელს, მხსნელს ნიშნავს.

სწორედ ამ სახელით შედის იგი იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ისტორიაში.

ი. ჯავახიშვილი.

სურათზე: ოლია და შალვა მუნჯიშვილების პირველი შეხვედრა კვარხითში.



მუზეუმი ღია ცის ქვეშ

საქართველოს უძველესი ძეგლები იცვლიან თავიანთ ადგილსამყოფელს. დაბა ჩაჩქარიდან, რომელიც ვარძიის მახლობლად არის, თბილისში გადმოვიდა გლეხის საცხოვრებელი „დარბაზი“. ამ იშვიათ ნაგებობას, რომელიც ჩვენს დრომდე შემონახულა XII საუკუნიდან, აქვს პირამიდის ფორმის სახურავი, რომელსაც აკავებს დედაბოძი. მასზე ბევრია ორნამენტი ასტრალური ნიშნებით და ვერძის თავების სკულპტურული გამოსახულება. ერთ ჰერქვეშ მთთავსებულია მარანი, ბოსელი, სამუშედლო და სხვა საოჯახო ნაგებობანი.

ახალი ადგილსამყოფელი მონახა აგრეთვე XIX საუკუნის პირველი ნახევრის „ოდა-სახლმა“. იგი ჩამოიტანეს იმერეთის სოფელ ხანდან. ხალხური ხუროთმოძღვრების ეს ნიმუშები პირველი „მცხოვრებლებია“ ახალი მუზეუმისა ღია ცის ქვეშ, რომელიც მოთავსდება ვაკეში. საქართველოს უძველესი კუთხე გაცოცხლდება თანამედროვე მრავალსართულიანი სახლების გვერდით. იგი გადაშლება მთის კალთაზე თითქმის კუს ტბამდე.

ჩვენმა კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს **გ. ჩიტაიას** დაწვრილებით ეამბნა მუზეუმის შესახებ.

□

— როგორც ცნობილია, — თქვა მეცნიერმა, — საქართველო მდიდარია ისტორიული მნიშვნელობის მონუმენტური ნაგებობებით. თბილისში უწინარეს ყოვლისა გადმოტანილ იქნება ხალხის ცხოვრებასთან, კულტურასთან უშუალოდ დაკავშირებული ძეგლები, რომლებიც გვიჩვენებენ მათ შემქმნელთა, სამუშაოების უშუალო მწარმოებელთა თავისთავადობას. ეს იმ საცხოვრებელი და სამეურნეო შენობების არქიტექტურული ანსამბლებია, რომლებიც შეიქმნა საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული გამოცდილების საფუძველზე. ასეთ ძეგლებში გამოხატულია ხალხის სული, მისი ფიქრები, გრძნობები და ოსტატობა.

ჩვენი მოვალეობაა შემოვუნახოთ შთამომავლებს ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები. ისინი დაეხმარებიან მათ უფრო ღრმად გაეცნონ საქართველოს უძველეს ყოფაცხოვრებასა და კულტურას, ხოლო მეცნიერები გამოიყენებენ როგორც ობიექტს შესწავლისათვის. მუზეუმის მნახველი გაეცნობა არა მარტო ძეგლების გარეგნულ მხარეს, არამედ აგრეთვე მათ ინტერიერს, შინაგან მოწყობას, ქალაქ-მუზეუმში, რომელიც 50 ჰექტარს დაიკავებს დროდადრო გაიმართება ძველებური ხალხური დღესასწაულები, ბერიკაობა. აქ ხალხური ოსტატები გამოიყენებენ წინაპართა იარაღს და გახსნიან სიძველეების თავისებურ კლასებს, სადაც უჩვენებენ ხის ჩუქურთმას, ლითონის ჭედვას, მეთუნეთა ხელოვნებას.

მუზეუმის მშენებლობა, რომლის გეგმის ავტორია არქიტექტორი პროფესორი ლ. სუმბაძე, რამდენიმე წელს გასტანს.

უნდა ითქვას, რომ დღეისათვის ღია ცის ქვეშ მოთავსებული მუზეუმების სტრუქტურასა და ორგანიზაციულ პრინციპებს გაცხოველებით განიხილავენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე სხვა ქვეყნებში. მაგალითად, ამ საკითხს მიეძღვნა მეცნიერ ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა VII მსოფლიო კონგრესის სექციის სხდომა. მუზეუმი ღია ცის ქვეშ მოწყობილია ბევრ ქვეყანაში. ისინი განსაკუთრებით გავრცელებულია სკანდინავიაში, მაგრამ ქართულისაგან განსხვავებით, მდებარეობენ სიბრტყეზე. თბილისში მეცნიერებმა მიზნად დაისახეს სხვადასხვა ნაგებობა წარმოადგინონ მათ ბუნებრივ გარემოცვაში და მათთვის დამახასიათებელ გეოგრაფიულ პირობებში. სიძველის ძეგლები განლაგდება მაღლივი ზონების მიხედვით, ამრიგად, მნახველი შეძლებს თითქოსდა ავიდეს კოლხეთის დაბლობიდან ზემო სვანეთამდე და მთათუშეთამდე.


სოფლის კულტურის სახლში

ჭიათურა. სოფელ წირქვალის კულტურის სახლში საღამოობით დიდი გამოცოცხლებაა. აქ მეცადინეობენ თვითმოქმედი წრეები, სამკითხველოში თავს იყრიან მექანიზატორები, მხვნელ-მთესველები, მეცხოველეები. აქვე გამოფენილია დიაგრამები და სქემები, რომლებიც ასახავენ კოლმეურნეობის პერსპექტივებს.

კულტურის სახლის საბჭო დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეობას მიმდინარე წლის სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში, მეურნეობის ეკონომიკის აღმავლობაში, აწყობს ლექციებსა და მოხსენებებს. აქ შაბათ-კვირას 70-ზე მეტი ლექცია-მოხსენება მოეწყო კოლმეურნეთათვის საინტერესო საკითხებზე. ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს ნოვატორი მევენახეების ბ. მიროტაძისა და ა. ნადირაძის მოხსენებები უხვი მოსავლის მიღების შესახებ.

ᲐᲦᲛᲐᲠᲗ-ᲓᲐᲦᲛᲐᲠᲗ...

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ



თბილისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლებმა შექმნეს ციცაბო კალთის ტრაქტორი „ტ-50-კ“.

ახალ ტრაქტორს შუშაობა შეუძლია 20 გრადუსამდე დახრილობის კალთებზე. ამ ტრაქტორისათვის შექმნილია საკიდი იარაღების კომპლექსი — სათიბი, ფოცხი, სათრეველა, გუთანი, კულტივატორი, ნარგავების სასხურებელი აპარატი, ვენახებში ბოძების ჩასასმელი მექანიზმი და ორმომთხრელი ხელების დასარგავად.

თბილისის საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსმა გ. გორდეზიანმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ახალი ტრაქტორი დაახასიათა, როგორც მანქანა, რომლითაც დაინტერესებული არიან მთელი მსოფლიოს გლეხები. მისი აზრით, ტრაქტორს ფართოდ გამოიყენებენ არა მარტო საქართველოში, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვა მთიან ზონებშიც. წინასწარი გამოანგარიშებით ეს ექვსჯერ გაზრდის შრომის ნაყოფიერებას და ერთიორად შეამცირებს სამთომიწათმოქმედების პროდუქციის თვითღირებულებას.

20 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲪᲘᲮᲔ-ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲖᲔ

ამ ნაგებობას ჩვეულებრივ უწოდებენ ყვარლის ღვინის ქარხანას. მაგრამ, როცა მისი მიწისქვეშა შენობებს გაივლი, რომლებიც გაკაშკაშებულია, ადვილად დარწმუნდები, რომ ეს არის თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლი.

მისი შემქმნელების — თბილისელი არქიტექტორების მ. გოზალიშვილისა და გ. ხეჩინაშვილის ჩანაფიქრს გამოხატავს თითქოს ქართული აფორიზმი, რომელიც გამოკვეთილია სადეგუსტაციო დარბაზის თაღქვეშ: „სტუმარი — სასურველი, მასპინძელი — ჯულითადი“.

ყვარლის მარანის აგების იდეა 1959 წელს დაებადათ. ოცი თვის წინათ თბილისელმა მეტრომშენებლებმა მთებში განახორციელეს ეს უნიკალური პროექტი. ნატიფი მარმარილოს პორტალის იქით მათ კლდეში გამოკვეთეს ორი დერეფანი. ისინი შეაერთეს 13 პარალელურ გვირაბთან. საცავის საერთო სიგრძე თითქმის რვა კილომეტრია. მთის წიაღიდან ამოღებულმა ათიათასობით კუბურმა მეტრმა გრუნტმა ამოავსო ხევი მთავარი შესასვლელის წინ. ახლა აქ გაშენებულია ხეხილის ბაღი.

გვირაბებში ორ და სამწყებად დგას მუხის კასრები, რომლებშიც ღვინო ისხმება მინის მილსადენებით. აქ სულ ეტევა ოცი მილიონი ლიტრი საუკეთესო სამარკო ღვინოები. კიდევ ორი წელი იქნება საჭირო, რომ აივსოს საცავის ყველა ჭურჭელი.

მაგრამ გამოვიდეთ ზედაპირზე. ამისთვის შეიძლება ვისარგებლოთ ლიფტით. იგი აგვიყვანს 15-სართულიანი სახლის სიმაღლეზე.

კაშკაშა მზიან დღეში ქარხნის გარეთა ნაგებობანი, რომლებიც შესრულებულია ძველი ქართული ციხე-დარბაზის ფორმით, — გრანიტის ტერასები, მინის კედლიანი მარმარილოს სადეგუსტაციო დარბაზი — გამჭვირვალედ და მსუბუქად მოჩანს. ქვემოთ გადაშლილა ალაზნის ველი, რომელსაც თავს ადგას დათოვლილი კავკასიონი. შემდგომ წლებში აქ გაიყვანენ გზატკეცილს, რომელიც მიადგება მარნის მთავარი შესასვლელის გრანიტის კიბეებს. ტერასის გარშემო, მთის კალთებზე გაშენდება ხეხილი.

ᲐᲠᲐᲐᲑᲘᲙᲐ. 1967 ᲬᲔᲚᲘ

დაუსრულებელი მოწისქვეშა დარბაზები, კორიდორები, მღვიმეები, დიდებული წყალვარდნილები, მჩქეფარე მდინარეები, გამჭვირვალე ტბები, სტალაქტიტის ხშირი ტყე და სტალაგმიტები, რომლებიც იატაკიდან აღმართულან, მღვიმის იშვიათი მარგალიტი — ყოველივე ეს საქართველოს მიწისქვეშა სამყაროს სიმდიდრეა. მას ეძღვნება გამომცემლობა „მეცნიერების“ მიერ გამოშვებული წიგნი **„არაბიკის უფსკრულები“**, რომლის ავტორია სპელეოლოგი **თამაზ კიკნაძე**.

სპელეოლოგია საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერებაა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რესპუბლიკა გამოქვაბულების რაოდენობითა და მრავალფეროვნებით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

საქართველოს უძველესი ხელოვნური გამოქვაბულები ცნობილია შორს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. მაგრამ ჩვენში ბევრია აგრეთვე ბუნებრივი კარსტული გამოქვაბულები და უფსკრულები. ავტორი ხუთი წლის მანძილზე იკვლევდა არაბიკის მიწისქვეშა სამყაროს— საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო კარსტულ მასივს. პროცესები, რომლებიც ქმნიან იღუმალ მიწისქვეშა სამყაროს, მისი დახასიათება, მიწისქვეშა სამყაროს დამპყრობთა მრავალი თავგადასავალი წარმტაცად არის მოცემული ამ პოპულარულ წიგნში. თქვენ გაეცნობით ვარძიის ცნობილ ანსამბლს, რომელშიც სამასზე მეტი გამოქვაბულია კლდეში გამოკვეთილი, მღვიმე ქალაქ უფლისციხეს, რომელიც გამოკვეთილია კლდეში მტკვრის თავზე, დავით გარეჯის მონასტერს, ოჩამჩირის მახლობლად მდებარე აბრსკილის კარსტულ მღვიმეებს, ქუთაისის მახლობლად მდებარე სათფლიას და სხვ. გაოცებას იწვევს, როგორ ჭრიდნენ მიუდგომელ კლდეებში ამ გრანდიოზულ ნაგებობებს დაუსრულებელი მტრის შემოსევისა და ომების პირობებში, პრიმიტიული სამშენებლო ტექნიკის დროს.

300 კილომეტრზე მეტი სიგრძის კირქვის ზოლში, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს გასდევს, იქმნებოდა არაბიკის უფსკრულები და მღვიმეები, რომლებიც სპელეოლოგთა თვალწინ წარსდგნენ და თანდათანობით ტურისტთა ხელმისაწვდომიც ხდებიან.

ავტორი უბრალოდ როდი მოგვითხრობს საქართველოს მღვიმეებზე, იგი თვით არაერთხელ ჩასულა უფსკრულში, დაუვლია ფანრით არაბიკის დარბაზებში, გადაულახავს სიძნელეები, უგრძვნია აღმოჩენათა მომხიბვლელობა, კვლევის სიხარული, ადამიანის დაუვიწყარი შთაბეჭდილება, რომლის წინაშე გადაიშალა მანამდე უცნობი სამყარო.

წიგნი დიდი ინტერესით იკითხება. იგი კარგ სამსახურს გაუწევს არა მარტო სპეციალისტ სპელეოლოგებს, არამედ მკითხველებსაც, რომლებსაც აინტერესებთ ჩვენი რესპუბლიკის აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრეები.

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲤᲣᲜᲘᲙᲣᲚᲝᲠᲘ?

ამ კითხვით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა საქართველოს შახტმშენებლობის სპეროექტო ინსტიტუტის მთავარ ინჟინერს მ. ქებულაძეს.

— როგორც ცნობილია, — თქვა მ. ქებულაძემ, — თბილისის ფუნიკულორი დიდი ხნის წინათ აშენდა. ახლა არქიტექტორები თ. ჭუთათელაძე და გ. ბათიაშვილი ამუშავებენ ფუნიკულორის რეკონსტრუქციის პროექტს. მთლიანად შეიცვლის სახეს მისი ქვედა სადგური. სადგურის ორივე მხარე გავაქდება, რაც ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის ფეხით მოსიარულეებს. სადგურის კედლებს დაამშვენებს ქართული ორნამენტი. ფარ-თოდ იქნება გამოყენებული თანამედროვე საშენი მასალა.

რეკონსტრუირებული იქნება აგრეთვე მთელი გზა ქვემო სადგურიდან ზემო სადგურამდე.

მგზავრებს მოეწონებათ კომფორტული ვაგონები, რომელთა კონსტრუქცია შეიმუშავეს პროექტის ავტორებმა ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად. ვაგონებიდან მგზავრებს საშუალება ექნებათ დაინახონ ქალაქის თითქმის ყველა კუთხის პანორამა.

ფუნიკულორის რეკონსტრუქცია უკვე დაიწყო და დამთავრდება ახალი სეზონის გახსნისათვის.

ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲘᲡ ᲫᲐᲮᲘᲚᲘ

ცხრა მთას გადასწვდენია, ცხრა ზღვა გადაულახავს ჩვენი დიდი წინაპრის შოთა რუსთაველის ენასა და საგალობელს. ქართული ხმები ურუანტეკლად უვლიდა ამ მონასტერთა კედლებსა და სანახებს. სამშობლოს სადიდებელს სიგელ-გუჯრებზე ქარგავდა მისი აზრი და ბატის ფრთა. სისხლით და ცრემლით მოიტანა მან ჩვენამდე ქართული ენის სიძველე და ძარღვიანობა. ამაზე მოგვითხრობს პალესტინის მიწა. მიწა, რომელიც ყველაზე დიდ საიდუმლოს გვიმალავს ალბათ. ჯერაც სრულყოფილად არავის გაუხსნია ეს საიდუმლო. და თუ რაიმე ვიცი, ისიც ზოგიერთი ბედნიერი შემთხვევის წყალობით.

ასეთი შემთხვევა მიეცა ქართულ ტელევიზიას, როდესაც დიდი რუსთაველის იუბილეს მზადებასთან დაკავშირებით გადაწყდა შექმნილიყო ფილმი „რუსთაველის ნაკვალევზე“ (როგორც ცნობილია, ეს სრულმეტრაჟიანი სურათი გამოვიდა და რამდენჯერმე უჩვენეს ტელევიზიით და კინოეკრანებზე). პალესტინაში ჩასვლისას შემოქმედებითმა ჯგუფმა სცენარის ავტორი ი. რურუას, რეჟისორის გ. პატარაიას და ოპერატორის გ. მელქაძის შემადგენლობით პარალელურად გადაიღო მეორე სრულმეტრაჟიანი ფილმიც „პალესტინის სიძველეთა საიდუმლო“. ჯგუფმა მოახერხა თითქმის ყველა ქართული ძეგლის ფირზე აღბეჭდვა. საქართველოს ტელევიზიამ ამით, რა თქმა უნდა, კარგი საქმე გააკეთა. სხვა რომ არაფერი, „პალესტინის სიძველეთა საიდუმლოება“ ჯერჯერობით ერთადერთი ფილმია, რომელიც, შეიძლება ითქვას, სრულყოფილი სახით გადმოგვცემს ყოველივე იმას, რაც ჩვენთვის იყო საინტერესო, რაც ქართული კულტურის დღევანდელ და ხვალინდელ დღეს ემსახურება.

ფილმს უკვე ეკრანებზე უჩვენებენ. ვისაც კი საშუალება ჰქონდა ენახა იგი, დაგვეწერწმუნება, თუ რა დიდი და ნაყოფიერი მუშაობა ჩაუტარებიათ ჯგუფის წევრებს.

ცნობილია, რომ პალესტინაში ძველთაგანვე იყო ქართველების ნასახლარი სოფელი მალხა. ეს ადგილები და კიდევ მრავალი სხვა კარგად არის აღბეჭდილი კინოფირზე.

შემოქმედებითმა ჯგუფმა ოცი დღე დაჰყო პალესტინაში. მისმა დაუღალავმა და ინტერესით აღსავსე მუშაობამ ქართველ მაყურებელს საშუალება მისცა გასცნობოდა ბევრ ახალს, რაც ჩვენთვის მანამდე უცნობი იყო.

ვ. მარდალეიშვილი.

* * *

სურათზე: კადრი ფილმიდან — ჯვარის მონასტრის შიდა ეზოს ხედი.

საგანძური

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დარბაზებში

საქართველომ უდავოდ დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში თავისი მდიდარი და მრავალფეროვანი არქიტექტურით, ფერწერით, ქანდაკებით, დეკორატიულ - გამოყენებითი და ხალხური ხელოვნების შესანიშნავი ძეგლებით. არც ერთ ქვეყანას არ განუცდია იმდენი დარბევა და აწიოკება საუკუნეთა მანძილზე, რამდენიც საქართველომ განიცადა, მაგრამ ქართველმა ხალხმა შეძლო ნანგრევებიდან აღედგინა და თაობიდან თაობისათვის გადაეცა მისი წინაპრების მიერ შექმნილი საუნჯე, რაშიც ჩაქსოვილი იყო მისი ფიქრი, ოცნება, მწუხარება თუ სიხარული.

ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან ოცნებობდა ქართველი საზოგადოება შეეკრიბა ჩვენი ერის უძვირფასესი რელიკვიები, ყველაფერი, რაც ასახავდა ჩვენს წარსულს, დიდებას თუ ბედკრულ დღეებს, შეექმნა ეროვნული მუზეუმი, რომელიც მკაფიოდ წარმოადგენდა ქართული კულტურის განვითარების გზას. მუზეუმი ერის სარკეა, მასში ვხედავთ ერის ხასიათს, ერის ნებისყოფას, მის ექსპონატებშიც შეიძლება ამოვიკითხოთ ერის მომავალი. ამ მიზნით ქართველი პროგრესიული ინტელიგენციის თაოსნობით იქმნებოდა სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებანი, საუწყებათაშორისო თუ კერძო მუზეუმები, სადაც თავს უყრიდნენ ძვირფას კოლექციებს. შეიქმნა ფერწერის, ხელნაწერების, დეკორატიულ - გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა კოლექციები. ყალიბდებოდა საუწყებათაშორისო საზოგადოებანი: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი, საეკლესიო სიძველეთა, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის და სხვა საზოგადოება.

ამ საზოგადოებებმა დიდი როლი შეასრულეს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში, მაგრამ ეროვნული ხელოვნების მუზეუმის შექმნა ისევ განუხორციელებელ ოცნებად რჩებოდა.

მხოლოდ საბჭოთა ეპოქამ შეასხა ფრთები ამ ოცნებას. მთავრობამ ხალხს მიერ შექმნილი საუნჯე ხალხის საკუთრებად გამოაცხადა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში დაარსდა საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერია, ხოლო 1933 წელს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ამჟამად ხელოვნების მუზეუმი ერთ-ერთი შესანიშნავია საბჭოთა კავშირში თავისი მდიდარი და მაღალმხატვრული კოლექციებით.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდები შექმნილია საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერიის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის, საეკლესიო მუზეუმის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების კაბინეტის კოლექციების ბაზაზე. ამ მასალებს დაემატა რუსეთის მუზეუმების: ერმიტაჟის, ტრეტიაკოვის გალერიის, აღმოსავლეთ ქვეყნების მუზეუმის და სხვათა მიერ გადმოტემული ექსპონატები.

მიღებულ იქნა მთავრობის საგანგებო დადგენილება, რათა დაბრუნებოდა საქართველოს მისი ძველი სამუზეუმო და არქივის კოლექციები, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა მუზეუმებში და საგანძურებში ინახებოდა.

მუზეუმის კოლექციები 1945 წელს საფრანგეთიდან ჩამოტანილი იმ ნაწარმოებებით, რომლებიც წაღებული იყო საქართველოდან 1921 წელს.

მუზეუმს ბევრი უნიკალური კოლექცია აქვს, როგორც, მაგალითად, ახალგორის (V ს. ჩ. წ-მდე), ანტიკური პერიოდის: სარგვეშის, ქანის, სტეფანწმინდის განძები და სხვ.

მუზეუმის ექსპოზიციაში შემდეგი განყოფილებებია: ქართული, რუსული, დასავლეთ ევროპის და აღმოსავლეთ ქვეყნებია ხელოვნების განყოფილებანი. ქართული ხელოვნების განყოფილებასთან არსებობს საგანძური, სადაც წარმოდგენილია ლითონის მხატვრულად დამუშავების სხვადასხვა სახეობანი (ცედურობა, სევადა, გრეხილური, ზარნიში და ა. შ.). აქვეა დაცული მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ტიხროვანი მინანქრის კოლექცია. აქ გამოფენილია დიდი ქართველი ოსტატების ასათ მოქმედის, იოანე მონასძის, ბეჭა ოპიზარის უბადლო ნაწარმოებები, გელათის შესანიშნავი ტონდო, კურაპალატის ჯვარი, ლაკლაკიძეების ხატი, საღოლაშენის ლორფინები, დაკით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ჯვრები, ხახულის ხატი, ჩხოროწყუს თასი, ეკატერინე ჭავჭავაძის - სამკაულები, ქართული სასმისები და სხვ. ლითონის მხატვრულად დამუშავების ნიმუშებმა საპატიო ადგილი დაიჭირა მსოფლიო კულტურის განძურში. ქართული ტიხრული მინანქრის ნიმუშებს მხატვრული ღირსებით, ფერების შეხამებით, ტექნიკური შესრულებით მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვებოდა. ექსპოზიციაში წარმოდგენილია ამ სახეობის VII-XIV საუკუნეების საუკეთესო ნიმუშები.

ქართული ხელოვნების განყოფილებაშია ჩვენი ხუროთმოძღვრების, მოზაიკების და ფრესკული მხატვრობის, ქვაზე და ხეზე კვეთილობის მრავალფეროვანი ნიმუშები, ქართული რელიეფური პლასტიკის შეუდარებელი ნაწარმოებები, ქართველ ქალთა ნატიფი ხელსაქმე და სხვ. მნახველთა უურადღებას იპყრობენ ბოლნისის და ბაგრატის ტაძრების სვეტის თავები, სტელები, წებელდის, ატენის, საფარის, ურთხვის, ფოთოლეთის კანკელის ფილები, ბიჭვინთის, წრომის და გელათის მოზაიკები, ატენის, დავით გარეჯის, ვარძიის, ყინწვისის, ბეთანიის, უბისის ფრესკები.

საბჭოთა განყოფილებაში უხვად არის წარმოდგენილი საბჭოთა მხატვრების როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობის ნამუშევრები (დაზგური ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება და დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები) — მ. თოიძის „მცხეთობა“, „მრეცხავი ქალი“, გ. გაბაშვილის „სამი მოქალაქე“, „მძინარე ხევსური“, ს. ჩარკვიანის „დაბალი ღობე“, „სოფლის კანცელარიის წინ“ და სხვ.

მუზეუმის ორ დარბაზში მაყურებლის თვალს იტაცებს ნ. ფიროსმანიშვილის ტილოები, რომლის შემოქმედება უშუალოდ დაკავშირებულია ხალხურ მხატვრულ ტრადიციებთან. მის ნაწარმოებებში მოცემულია ქართველი გლეხკაცობის ყოფა-ცხოვრება, ძველი თბილისის კოლორიტული სახეები („რთველი“, „მეზობელი“, „ქეიფი“ და სხვ.), ცხოველთა სამყარო („ჟირაფი“, „შველი“, „დათვი მთვარიან ღამეში“) მეტად ორიგინალური ნატურმორტები და სხვ.

ექსპოზიციაშია ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის, ლ. ქიქოძის, უ. ჯაფარიძის, ე. ახვლედიანის, ქ. მაღალაშვილის, თ. აბაკელიას, ნ. ირანიშვილის, ე. კაკაბაძის, დ. ერისთავის და სხვათა ნაწარმოებები. ფართოდ არის წარმოდგენილი ი. ნიკოლაძის შემოქმედება.

მდიდარია მუზეუმის რუსული სახვითი ხელოვნების კოლექციაც. აქ არის ხატწერის, დაზგური ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკისა და კერამიკის მეტად საინტერესო ნაწარმოებები. ყურადღებას იპყრობს ხატწერის ნიმუშები, ლევიცკის, ტროპინინის, ფედოტოვის, ბოროვიკოვსკის, კრამსკოის, პეროვის, რეპინის, აივაზოვსკის, კუინჯის, რუბოს, შიშკინის, სურიკოვის, სეროვის ფერწერული ტილოები, გ. გაგარინის, ჰორშელდის, ზიჩის, ვრუბელის, რერიხის და სხვათა გრაფიკული ნამუშევრები. აქ თავმოყრილია მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-19 საუკუნის საიმპერატორო და კერძო პირთა ფაიფურისა და შუშის ქარხნების ნაწარმოებები.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების განყოფილებაში ექსპონირებულია იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის, ესპანეთის და სხვა ქვეყნების ხელოვნების სხვადასხვა პერიოდის ნაწარმოებები. უპირველეს ყოვლისა საჭიროა აღვნიშნოთ მე-14 საუკუნის იტალიელი მხატვრის პაოლო ვენეციანოს პოლიპტიქი, მარკორიჩის, კრანახის, რუიზდალის და სხვათა ფერწერული ტილოები, როდენისა და კანოვას ქანდაკებები, დიურერის, რემბრანდტისა და სხვათა გრაფიკა.


აზიის, ჩინეთის, ინდოეთის, ირანის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები — ხალიჩები, სხვადასხვა სახის ქსოვილები, ხეზე, ქვაზე და ძვალზე კვეთილობის, მინანქრის, კერამიკის და სხვა ნაკეთობანია გამოფენილი აღმოსავლეთ ქვეყნების ხელოვნების განყოფილებაში.


მუზეუმი ყოველწლიურად მდიდრდება და ახალდება ახალ-ახალი საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით.


ირინე უზნაძე.

* * *

სურათებზე: მარცხნიდან, ლ. გუდიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, გელათის ტონდო, წმ. მამაის გამოსახულება (ჭედურობა), ელ. ახვლედიანის „ძველი თბილისი“









სურათზე: თბილისი, ახალი სანაპიროს ერთი მონაკვეთი ღამით.

უძველესი დროიდან ჩვენს დღეებამდე

ქართულ მედიცინას მრავალი ასეული წლის გამოცდილება აქვს. უკვე მესამე ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე საქართველოში მეტალურგიის განვითარებასთან ერთად დაიწყო ქირურგიული იარაღების წარმოება. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია დიდძალი ბრინჯაოს იარაღები განკუთვნილი სხვადასხვა ქირურგიული მანიპულაციისათვის.

პირველყოფილი პერიოდის გათხრებში მეცნიერებმა იპოვეს ტრეპანირებული თავის ქალები. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ უძველეს დროს საქართველოში აწარმოებდნენ ურთულეს ოპერაციებს. სამაროვნებში, რომლებიც მიეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულს, ნაპოვნია ფერფლი, რომელიც მოწმობს, რომ გავრცელებული იყო კრემაცია.

არგონავტიკაში" და მის ვარიანტებში არის მრავალი ცნობა იმის შესახებ, რომ კოლხეთი იყო ქვეყანა, სადაც სამედიცინო პრაქტიკას საფუძვლად ედო სამკურნალწამლის პრეპარატების შესწავლა. ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები თავიანთ ნაწარმოებებში აღნიშნავდნენ, რომ ქუთაისის მახლობლად არსებობდა სამკურნალწამლის მცენარეთა პლანტაციები. საყურადსხმოა, რომ ბევრი მცენარის სახელწოდება, რომლებსაც იყენებდნენ სამედიცინო პრეპარატების დასამზადებლად, მიუხედავად მათი ბერძნული ან ლათინური ტრანსკრიფციისა, ქართული წარმოშობისაა.

ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში მკურნალობა საქართველოში დამოუკიდებელი, ზუსტად ჩამოყალიბებული პროფესია გახდა, მაშინ საქართველოში სამკურნალო მიზნით იყენებდნენ მინერალურ წყლებს, მაგალითად, ბორჯომში ნაპოვნია უძველესი აბანოების ნაშთები, არმაზში აღმოჩენილია აბანო, რომელიც აგებულია ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში და, არქეოლოგთა აზრით, მარაგდებოდა სამკურნალო მინერალური წყლითაც. ამავე პერიოდს ეკუთვნის ცნობები მედიცინის შესახებ, რომლებიც შემონახულია „შუშანიკის წამებაში".

ყოველივე ამის შესახებ წერს თავის წიგნში „საქართველოს მედიცინის ისტორია", (რომელიც ახლახან გამოვიდა) საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის ინსტიტუტის ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილების გამგე პროფესორი მ. ს. შენგელია. წიგნში აღწერილია მედიცინისა და მედიკურბიოლოგიური აზროვნების განვითარების ყველა ძირითადი ეტაპი უძველესი დროიდან ჩვენს დღეებამდე, განსაზღვრულია ფეოდალურ საქართველოში მკურნალობის საქმის ძირითადი ფორმები და სისტემები.

მეცნიერმა მედიკმა გამოავლინა ქართული მედიცინის კერები. მან დაწვრილებით აღწერა სხვადასხვა დროის ცნობილი მოღვაწეების პეტრე იბერის, ილარიონ ქართველის, გრიგოლ ხანძთელის, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის, დავით ბატონიშვილის, ვახტანგ VI, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილისა და სხვათა წვლილი მედიცინის განვითარებაში.

წიგნში დაწვრილებით არის მოთხრობილი სოციალისტური საქართველოს მედიცინისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, უდიდეს წარმატებათა შესახებ, რომლებიც მოპოვებულია მედიცინის მეცნიერებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელის განვითარების საქმეში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს.

უნდა იკითხებოდეს...

გაზეთ „სამშობლოს" 1968 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილ მასალაში „ქართული მეცნიერების პრესტიჟი" (მე-3 გვ.), მეორე სვეტის პირველი აბზაცი უნდა იკითხებოდეს:

„ნეაპოლისა და გენუის უნივერსიტეტებში ახალ არამეულ ენაში ლექციების ციკლი წაიკითხა ცნობილმა სემიტოლოგმა პროფესორმა კ. წერეთელმა".



მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი ვისკედაქთია

თბილისი, ზ. ათონელის ქ. № 25.